დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 7 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №144/23
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2023 წლის 18 ივლისის №144 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

2023 წლის 31 ივლისს, -- -- №144 საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტის დაზუსტება. საჩივრის ავტორმა ხარვეზი შეავსო 2023 წლის 7 აგვისტოს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 8 აგვისტოს №499/144-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლე -- -- საფუძვლიანად არ შეისწავლა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, არ მისცა მითითებები სარჩელთან მიმართებით და მიიღო განჩინება კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2022 წლის 14 ივნისს, -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა -- -- და აღნიშნა, რომ ასაჩივრებდა -- საქმეს. ამავე განცხადებაში -- -- მიუთითებდა, რომ რადგან არის სოციალურად დაუცველი და შშმ პირი, სურდა ალტერნატიული ან რეესტრის ადვოკატის დანიშვნა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2022 წლის 20 ივნისის განჩინებით განცხადებაზე დადგინდა ხარვეზი და მოსარჩელეს დაევალა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის წესების დაცვით, შედგენილი სარჩელის წარდგენა, სასარჩელო მოთხოვნის და მოპასუხეთა წრის ჩამოყალიბება.

2022 წლის 30 ივნისს, მოსარჩელის მიერ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილი იქნა განცხადება, თანდართული დოკუმენტებით. წარდგენილი განცხადებით მოსარჩელემ მოითხოვა სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელება და ადვოკატის დანიშვნა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 5 ივლისის განჩინებით სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაგრძელდა 10 დღით. ამავე განჩინებით -- -- შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და დაენიშნა ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

2022 წლის 21 ივლისს, მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და ხარვეზის შესავსებად დადგენილ ვადის გაგრძელება ითხოვა.

2022 წლის 25 ივლისს, საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2022 წლის 26 ივლისის განჩინებით სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაგრძელდა 10 დღით.

2022 წლის 8 აგვისტოს, -- -- განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომლითაც წარადგინა ჯანმრთელობის ცნობები და ფორმა 100.

2022 წლის 9 აგვისტოს, საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2022 წლის 10 აგვისტოს, -- -- განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და საქმის ასლი ითხოვა 2 ეგზემპლარად, ასევე წარადგინა ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

2022 წლის 11 აგვისტოს, -- -- წარმომადგენელმა -- -- განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, სადაც აღნიშნა, რომ ვინაიდან არ ჰქონდა მიღებული სარჩელის მიღების ბარათი, ვერ ახერხებდა დადგენილი ხარვეზის შევსებას. შესაბამისად, მოითხოვა აღნიშნული დოკუმენტის დროულად მიწოდება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2022 წლის 12 აგვისტოს განჩინებით სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაგრძელდა 10 დღით.

2022 წლის 12 აგვისტოს, მოსარჩელემ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარადგინა განცხადებები, თანდართული დოკუმენტებით. აღნიშნულ განცხადებაში მოსარჩელე ითხოვდა სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელებას.

2022 წლის 16 აგვისტოს, საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 17 აგვისტოს განჩინებით სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაგრძელდა 10 დღით.

2022 წლის 13 სექტემბერს, მოსარჩელემ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარადგინა დაზუსტებული სარჩელი.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 19 სექტემბრის განჩინებით სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაგრძელდა და მოსარჩელეს დაევალა, პირვანდელი სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნის წარდგენა. ამასთან, დაევალა მიეთითებინა 2022 წლის 13 სექტემბერს სასამართლოში წარდგენილი დაზუსტებული სარჩელი წარმოადგენდა თუ არა დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას და ასეთის არსებობის შემთხვევაში, იყო თუ არა დამოუკიდებელი სასარჩელო წარმოების საგანი.

2022 წლის 28 სექტემბერს, მოსარჩელემ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარადგინა განცხადება, სადაც მიუთითა, რომ ეტაპობრივად შეიტანდა სარჩელებს.

2022 წლის 3 ოქტომბერს, მოსარჩელე მხარემ წარადგინა განცხადება, სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაგრძელდა 10 დღით.

2022 წლის 18 ოქტომბერს, მოსარჩელემ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარადგინა განცხადება, სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაგრძელდა 10 დღით.

2022 წლის 26 ოქტომბერს, მოსარჩელე -- -- მიერ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილი იქნა განცხადებები, სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების, სარჩელის წარმოებაში მიღების და მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით, -- -- უარი ეთქვა მოპასუხეების: საქართველოს პრეზიდენტის, -- მერიის და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ 2022 წლის 13 სექტემბრის დაზუსტებული სარჩელით წარდგენილი მოთხოვნების წარმოებაში მიღებაზე.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაგრძელდა და მოსარჩელეს დაევალა: სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება და მოთხოვნის შინაარსიდან გამომდინარე, მოპასუხეთა წრის ჩამოყალიბება.

2022 წლის 21 ნოემბერს, მოსარჩელემ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარადგინა განცხადება, სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 28 ნოემბრის განჩინებით სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაგრძელდა 10 დღით.

2022 წლის 15 დეკემბერს, მოსარჩელემ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარადგინა განცხადება, სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 19 დეკემბრის განჩინებით სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაგრძელდა 10 დღით.

2023 წლის 12 იანვარს, მოსარჩელემ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარადგინა განცხადება, სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 16 იანვრის განჩინებით სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაგრძელდა 10 დღით.

2023 წლის 10 თებერვალს, მოსარჩელემ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარადგინა განცხადება, სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 15 თებერვლის განჩინებით სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაგრძელდა 10 დღით.

2023 წლის 1 მარტს, მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და ითხოვა ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 2 მარტის განჩინებით ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაგრძელდა, საბოლოოდ, 14 დღით.

2023 წლის 13 მარტს, მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელება.

2023 წლის 20 მარტს მოსარჩელემ სასამართლოში წარმოადგინა განცხადება, თანდართული დოკუმენტებით. ამასთან, მოითხოვა ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელება.

-- -- სასამართლოს 2023 წლის 20 მარტის განჩინებით -- -- უარი ეთქვა 2022 წლის 14 ივნისს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარმოდგენილი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

აღნიშნული განჩინება მხარემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა 2023 წლის 3 აპრილს.

2.2. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 10 მაისის განჩინებით -- -- კერძო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი და მის შესავსებად განესაზღვრა საპროცესო ვადა 10 დღე.

საქმე მოსამართლე -- -- განსახილველად გადაეცა 2023 წლის 16 ივნისს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 19 ივნისის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

-- სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 7 ივლისის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 20 მარტის განჩინება.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება

იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26^{1} მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-ე–25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს. თუ დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა საეჭვოა ან მოსამართლე მიიჩნევს, რომ სარჩელი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი, სასამართლო სარჩელის მიღებიდან 2 კვირის ვადაში ნიშნავს განმწესრიგებელ სხდომას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22-ე–25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამდენად, კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას გამოყენებულ უნდა იქნეს საპროცესო ნორმები სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილში ან/და 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არის წარდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა, ან/და სარჩელს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის

გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მოსარჩელისათვის მისი დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ასეთი განჩინების გამოტანის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი მთლიანად უნდა დაბრუნდეს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- -- სასამართლომ მოსარჩელეს სარჩელზე დაუდგინა ხარვეზი და განუსაზღვრა ის წინაპირობები, რომლის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაშიც სარჩელი არ იქნებოდა წარმოებაში მიღებული. ხარვეზზე დადგენილი ვადა მხარეს რამდენჯერმე გაუგრძელდა, თუმცა მოსარჩელემ აღნიშნული ხარვეზი არ შეავსო. შესაბამისად, -- -- სასამართლოს 2023 წლის 20 მარტის განჩინებით -- -- უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

აღნიშნულ განჩინებაზე წარდგენილი კერძო საჩივარი განიხილა მოსამართლე -- --, რომლის 2023 წლის 7 ივლისის განჩინებით -- -- უარი ეთქვა კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

საჩივრის ავტორის მოთხოვნასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის უფლება დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში, ნიშნავს სასამართლოს უფლებას დაეხმაროს მხარეს იმ საკითხის განსაზღვრაში, თუ რა სახის სარჩელის აღძვრით არის შესაძლებელი სარჩელის საფუძველზე მოთხოვნილი შედეგის მიღწევა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი სარჩელის ტრანსფორმირება ცალსახად არ ნიშნავს სასამართლოს ვალდებულებას ან უფლებას, თავად განსაზღვროს დავის საგანი და ჩამოაყალიბოს სასარჩელო მოთხოვნა, რადგან როგორც ადმინისტრაციული, ისე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ეფუძნება მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს. შეჯიბრებითი სამართალწარმოება გულისხმობს მხარეთა თანაბარ უფლებასა და შესაძლებლობას დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. ამდენად, აღნიშნული პრინციპი მოიაზრებს მხარეთა უფლებას დამოუკიდებლად განსაზღვრონ სასარჩელო მოთხოვნა. მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნათა ფარგლებში. სასამართლოს უფლება არა აქვს გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს.

ამდენად, განჩინების მიღებისას მოსამართლემ იხელმძღვანელა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი განჩინების კანონიერების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

შეწყდეს, -- -- 2023 წლის 18 ივლისის №144 საჩივრის საფუძველზე, მოსამართლე -- -- მიმართ არსებული დისციპლინური სამართალწარმოება, აქტის კანონიერებაზე ზედამხედველობის დაუშვებლობის საფუძვლით.

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი